3-67

ლიტ.-კრიტიკული ჟურნალი

№ 27

წელიწადი მეორე

ფასი 10 კაპ.

3305
5-67

,,ბედი''

ᲥᲝᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲔᲙᲝᲜᲝ-
ᲛᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 27

30 თიბათვე 1913 წ.

მიიღება ხელის მოწერა. ფასი 1 წლ.,—5 მან 6 თვ.—2 მ. 75 კ., 3 თვ. —1 მ 50 კ., 1 თვ. —50 კ. სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთ დაეთმობათ 4 მან.

რედაქცია ღიაა 10 – 3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია ,,ბედ''. დეპეშისა: თბილისი ბედ.

რედაქციისაგან

წარსულმა ნომერმა რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ძალიან დაიგვიანა და ამიტომ ზოგიერთ ხელის მომწერს გაეგზავნა ჟურნალი უკანოთ. მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ დაკაზმული ნომერი რედაქციაში.

— —

ვისაც ჟურნალის ფასი სრულიად არა აქვს გადახდილი, მკათათვიდან გზავნა მოესპობათ.

ს ა რ ჩ ე ვ ი: ჩვენი სკოლის ბედი.—**ა—ისა**. დიდი საქმე.—**რ. გესი**. სახალხო ფული.—***—**სა.** ვარდის გრძნეულებანი. **დ. კასრაძისა.** „ახალგაზრდამოდვაწე.—**ნაცარასი**. 1875 წ. **დ.კახელისა.** ა. ვ. კრიეფშეანი და მუდახის ველის დასახლება. ქრონიკა. დედათა სამეურნეო და სოფლის სკოლა. ქართველობა და ნოლიტეხნიკუმი. საკოოპერაციო კურსები.—**კოოპერატორისა.** ბალკანეთის ომები.—**მეომარისა.**

ჩვენი სკოლის ბედი

ამ დღეებში მოხდა ,,სასკოლო საზოგადოების'' წლიური კრება, რომელიც განაგებს ქართულ გიმნაზიის საქმეს. საზოგადოებამ უკვე დიდი ხანია იცის, რომ გიმნაზია განსაცდელშია. გიმნაზიის შენობას აწევს დიდძალი ვალი, გიმნაზიას არა აქვს თავისი საკუთარი შემოსავალი, გარდა საშეგირდო გადასახადისა, რომელიც რვაას შეგირდზედ მხოლოდ 16 ათას მანეთს იძლევა წლიურად და ამ რიგად, მოკლებული საკუთარ სახსარს, იძულებულია სხვის ხელის შემყურე იყვეს.

ბედის გამოსაბრუნებლად სკოლის გამგე კომიტეტმა შემდეგ საშუალებას მიმართა: მან აღძრა თავად-აზნაურთა კრებაზედ საკითხი, ეშუამდგომლა თავად აზნაურობის სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრებაზედ, რათა ამ უკანასკნელთ შეეცვალათ ბანკის წესდების მეასე მუხლი, რომლის შეცვლაც ზედმეტად გააღიდებდა ყოველწლიურ თანხას, ბანკის მოგებიდან თავ.-აზნაურობასთან გადამსვლელს თავად-აზნაურობამ ხელოვნელობაში მიიღო გამგე კომიტეტის მოხსენება და შეეცადა ბანკის რწმუნებულთა კრებაზედ ზემოხსენებულ პარაგრაფის შეცვლას. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეს ვერ მოხერხდა. მეასე მუხლი ბანკის წესდებისა ისევ თავის ადგილას დარჩა და ამ რიგად გამგე კომიტეტის „უკანასკნელი და ერთად-ერთი'' კომბინაცია ვერ განხორციელდა.

წარსულ კრებაზედ იმავე გამგე კომიტეტმა განაცხადა, ყველა ღონისძიების შემდეგ ჩვენ უარს ვამბობთ სკოლის ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ, რადგან ჩვენ ეს არ შეგვიძლიან და წინადადებას გაძლევთ, ამოირჩიოთ ახალი კომისია, რომელიც იკისრებს ფინანსიურ საქმეთა მოგვარებას. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ განცხადებაში გამოსჭვიოდა ნაწყენი კილო იმედ გაცრუებულ ადამიანებისა.

აქ ბევრი რამ არის უცნაური. უპირველესად ჩვენ გვაოცებს ის გარემოება, რომ გამგე კომიტეტმა თითონვე მისცა თავის თავს საძაგელი ატესტატი. პირადათ ვერც კი გავბედავდით საჯაროდ გვეთქვა ჩვენგანვე არჩეულ კომიტეტის წევრებზედ რომ მათ არაფრის გაკეთება არ შესძლებიათ. ჩვენ უფრო უკეთესი აზრისანი ვიყავით მაზედ. მაგრამ როცა ამას ამბობენ თვით გამგე კომიტეტის წევრნი, ჩვენ იმდენად პატივსა ვცემთ მათ, რომ არ შეგვიძლიან არ დავეთანხმოთ და მათთან ერთად არა ვსთქვათ, რომ კომიტეტს მართლაც არაფრის გაკეთება არ შესძლებია.

მაგრამ თუ ეს ასეა, თუ მართლაც გამგე კომიტეტმა ყოველი ღონე იხმარა, ყველაფერს შეეცადა და „უკანასკნელ და ერთად-ერთ“ კომბინაციას ვერაფერი ველარ მიუმატა, მაშინ გამგე კომიტეტს უფრო მეტი სითამამე უნდა გამოეჩინა და ეთხოვა არა კომისიის არჩევა, არამედ მათი საკუთარი გადაყენება.

ჩვენ ჯერ არსად გვინახავს არც ისეთი საზოგადო კრება, არც ასეთი გაძღოლა საქმისა და არც ისეთი მოხსენებანი, რომლებიც იქ მოვისმინეთ.

ჩვენის აზრით, გამგე კომიტეტის წევრები გულახდილად ვერ მოიქცნენ და საზოგადო კრებას არ მოახსენოს ის უწესობა, რომელიც, აუცილებელია, არსებობს მათს კოლეგიაში. რაც ირკვეოდა კრებაზედ თავის-თავად არ დაესწრო კრებას თავჯდომარე, არ დაესწრო კრებას არც თავჯდომარის ამხანაგი, ნამდვილად კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ აწესრიგებს კომიტეტის საქმეებს, ვინ აძლევს საქმეს მიმდინარეობს. ჩვენის აზრით, რასაკვირველია კოლეგიალურ დაწესებულებაში ყველაფერი კოლეგიალურად უნდა ხდებოდეს, მაგრამ რაკი ეს არ არსებობს გამგე კომიტეტში, მაშინ მით უმეტესი მნიშვნელობა ეძლევა იმ პირთ და მათ მოღვაწეობას, რომლებიც ითვლებიან კოლეგიაში მთავარ ღერძებად.

მეორე უმთავრესი კითხვა ქალთა გიმნაზიას შეეხებოდა. ქალთა გიმნაზიის კომიტეტი თხოულობს, რომ მათს სკოლის მართვა-გამგეობაში სრული დამოუკიდებლობა მიეცეთ. ამისათვის კი საზოგადოების წესდების 14 მუხლის შეცვლაა საჭირო. პრინციპიალურად არც კომიტეტია ამ ცვლილების წინააღმდეგი და საზოგადოებას კი მუდამ ნება აქვს აღძრას საკითხი ამა თუ იმ მუხლის შეცვლის შესახებ. ცხადია, რომ თუ ამ მუხლის შეცვლა მართლა საჭიროა, და ამის ეჭვი კი ჩვენ არა გვაქვს, აქამდისაც უნდა შეეცვალათ, მაგრამ ეს არ მოხდა და ამის მიზეზად კომიტეტმა ერთი ანეკდოტიური არგუმენტი წარმოუდგინა კრებას, ჯერ კიდევ მზრუნველ იანოვსკის დროს აღუძრავს კომიტეტს საკითხი ამ მუხლის შესახებ. როცა საზოგადოების წესდება იანოვსკის ხელში ჩავარდნია, იგი მიმდგარა და ყველა პარაგრაფები შეუცვლია. ეს გამოცდილება აშინებს კომიტეტს კვლავ აღძრას საკითხი პარაგრაფის შეცვლის შესახებ. ჩვენ ვსცხოვრობთ ისეთ დროს, როცა ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ თუ გამგე კომიტეტი მართლა წესდების „დამალვით“ სცდილობს იხსნას სკოლის ბედი მთავრობის ზედმეტ მზრუნველობისაგან, ამაში დიდათ სცდება. განა რა მოსაზრებით შეუძლიან მზრუნველს გვიჩვენოს, რომ სხვა პარაგრაფთა შეცვლაც ისეთივე სასარგებლო იქნება ჩვენთვის, როგორც მეთოთხმეტე პარაგრაფისა? კანონს შეუძლიან ისეთი რამ გვაიძულოს რაც ჩვენთვის სასარგებლო არ არის, მაგრამ როცა ამასვე მოისურვებს მზრუნველი თავისი ნებით, ჩვენ შეგვიძლიან უარვყოთ იგი. ასეთია იურიდიული განმარტება ამ საკითხისა და ამავ მოსაზრებით ჩვენ უფლება გვაქვს ხელ-ახლად წარუდგინოთ წესდება მთავრობას და მოვითხოვოდ იმ პარაგრაფის შეცვლა, რომელიც ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ. მთავრობა შეიძლება კიდევ ისე მოგვექცეს, როგორც პირველში, ესე იგი მეთოთხმეტე პარაგრაფთან ერთად სხვა პარაგრაფებიც შესცვალოს, რაც ჩვენთვის არა სასარგებლოა, მაგრამ სითამამე უნდა გვქონდეს უხრათ მაშინ ასეთ მთავრობას, რომ ჩვენ დიდის სიამოვნებით დავდივართ დალაქთან თმის გასაკრეჭად, მაგრამ პროტესტს ვაცხადებთ ისეთ დალაქების წინააღმდეგ, რომლებიც თმასთან ერთად თავსაც გვჭრიან.

ა—ი.

დიდი საქმე

დასრულდა! შეიძლება ახლა კი გული გულის ალაგას ჩადგეს და ერთი დიდი ეროვნული საქმის საძირკველი მკვიდრად გამოისახოს. თავ-აზნაურობამ საბოლოოდ გადასწყვიტა კახეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება. ეს დიდ ისტორიულ დღედ უნდა ჩაითვალოს, თუ ამ აქტს იმ სისრულით გამოვიყენებთ, რაც ნაყოფის გამოღება შეუძლიან. მართა-

ლია მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში მთელი ომები იმართება იმის გულისათვის რომ რკინის გზა ხელში ჩაიგდონ, მაშინ როდესაც ინგლისი და გერმანია მტრულად უღრენდნენ ერთმანეთს ბაღდადის რკინის გზაზედ პატრონობისათვის—ჩვენ **აქ ერთმანეთს** ვწეწდით და ვგლეჯდით ჩვენს პატარა ქვეყანაში, ჩვენს პატარა, მაგრამ ანალოგიურ საქმეში, იმის თაობაზედ, —საჭიროათუ არარკ. გზ. პატრონობა, მაგრამ ჩვენს ბედს, ეტყობა, კიდევ სწყალობს განგება და უთავბოლო და უნიადაგო, ყოველ აზრს მოკლებული ბრძოლის შემდეგ, საქმე კეთილად დასრულდა. **24 თიბათვეს 45 ხმის უმეტესობით 15-ს წინაამდეგ** დეპუტატთა საკრებულოს გარდასცა უფლება და დავალება შეიძინოს იმდენი დამატებითი აქცია, რამდენიც საჭიროა გზაზედ პატრონობისათვის.

ამ სამოცი კაცის გარდა, კიდევ იყო 8 ცენზოსანი, რომელთაც თავი შეიკავეს და არც ერთ გარდაწყვეტილებას არ მიემხრნენ. *)

მაგრამ თუ ასეთი ბრძოლა და შეხლა-შემოხლა იყო საჭირო კახეთის რკ. გზის ბედის გარდაწყვეტაზედ, თუ ამდენი ენერგია დაიხარჯა საბოლოო გამარჯვებაზედ—არა ნაკლები ენერგიაა საჭირო იმისათვის, რომ ამ საქმეს ღირსეულად გაუძღვეთ.

ეხლა ორი მძიმე საქმე გვიძევს წინა: ერთი—შოვნა ფულისა აქციების შესაძენად და მეორე უფლების განხორციელება, გამოყენება. პირველი საქმე მონდობილი აქვს დეპუტატთა საკრებულოს და, ჩვენის აზრით, ამას თვითონაც ღირსეულად მოახერხებს, თუ საზოგად. თანაგრძნობით მოეკიდება და დახმარებასაც გაუწევს, საჭიროებამ რომ მოითხოვოს მეორე საქმე—**მომზადებაა** იმ კონტინგენტისა, რომელმაც უნდა აამოძრაოს, აწარმოვოს ეს დიდი მეურნეობა. უნდა ეხლავე შეუდგეთ შერჩევას ისეთ პირთა, რომელნიც გამოდგებოდნენ ამ საქმისათვის და ყოველ წვრიმალშიაც ისე, როგორც სხვიმალში ცოდნით აღჭურვილნი და გამრჯელნი იქნებიან.

რა არის ამისათვის საჭირო?

ჩვენ ყველაფერში ვიგვიანებთ ხოლმე, —ის ენერგია, რომელიც ბრძოლას მოვანდომეთ, ჩვენ რომ თავიდანვე მომზადებაზედ დაგვეხარჯნა, იქნება პირველი დღიდანვე გვყოლოდა ისეთი ხალხი, რომელიც თავისუფლად თუ არა, ბორძიკით მაინც წაიყვანდა ამ დიდ საქმეს მაგრამ ეხლა გვიან არის სინანული, ეხლა სამზადისია საჭირო და გამონახვა იმ პირთა, რომელნიც ფაქტიურად სათავეში, თუ წვრილ თვლებთან ედგებიან ამ მძლავრ, ეკონომიურ ცხოვრების აზარმაცსა—უპირველესი საფიქრებელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს იმდენად მნიშვნელოვანი და საძნელო საქმეა, რომ ქართველობამ უნდა მუდამ იძახოს—**სამზადისია საჭირო**, როგორც ერთ დროს რომაელნი იმეორებდნენ: **Carthago delenda est!**

პირველ ხანებში, ჩვენის ფიქრით, თუ თავ.-აზნაურობამ ვერ გამოსძებნა საკმაო მომზადებული ხალხი გამგეობისა თუ მართველობისათვის, ან უბრალო ტეხნიკურ საქმისათვის, ვინაიდან ქართველებისათვის ეს უჩვევი და ახალი საქმეა.—შესაძლებელია მოიწვიონ გარეშე პირნიც, უცხოელნი პატარა პროცენტით, რომ ნაცად ხალხთან ერთად ჩვენიც გაიწვრთნას და რამდენიმე ხანში მაინც გავიჩინოთ საკუთარნი მუშანი. საკუთარი საქმისათვის უნდა მოვიკითხოთ ტეხნიკურ სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში და აქაც საზოგადოებაში სხვა და სხვა დანიშნულებისათვის გამოსადეგნი პირნი, რომ მერე, როცა საქმე საქმეზედ მიდგება,—პირღიანი არ დავრჩეთ. თვით კერძო პირებიც, მოსურნენი საერთო საქმის შველისა და მასთან ერთად კერძო კეთილდღეობასაც მოწადინებულნი, უნდა თვისით ემზადებოდნენ გზაზედ სხვა და სხვა სამუშაოს შესრულებისათვის.

ამ მხრივ სასიხარულო ამბავი გავიგეთ ამას წინად. თურმე მთელი ჯგუფი ახალგაზრდა მოხელეთა და სხვა და სხვა დაწესებულებაში მოსამსახურეთა სწავლობს ტელეგრაფისტობას, სარკინის-გზო ტეხნიკას და სხ. რომ, ამ კახეთის რკინის გზაზედ იმსახურონ. დარწმუნებულნი ვართ ასეთი ჯგუფები ბევრი გამოჩნდება და თუ თავ.-აზნაურობამაც ხელი შეუწყო წაქეზებით, ან დაპირებით, იმ დროისათვის, როცა რკინის გზა მზად იქნება,—მთელი კომპლექტი ცოტ-ცოტა შეივსება და ღირსეულად მოუვლის საკუთარ მეურნეობას.

ჩვენ აღარ ვამბობთ იმას, თუ რამდენი სხვა და სხვა ეკონომიური ორგანიზაცია შეიქმნება გზის გაყოლებაზედ და კახეთის რაიონში, რამდენ გამრჯელ მუშას მოითხოვს და მიიზიდავს თავისაკენ, რამდენად გამოაღვიძებს უნარს მოქმედებისას ეკონომიურ ცხოვრების ახალ დარგებში. გულწრფელი სიხარულით ვეგებებით ამ კეთილ დასაწყისს და იმედი ვიქონიოთ, რომ ლელოსაც გაიტანს ქართველობა თავის ახლად ამოხეთქილს მიმართულებაში: ძალა ეკონომიურ აღორძინებაში ინტენსიურ, კულტუ-

*) ალ. ნ. დიასამიძემ და ლ. გ. ჯორჯაძემ განცხადება შეიტანეს, რომ თავს იკავებენ საკითხის გარდაწყვეტაში, რადგან პროტესტის შეტანას აპირობენ

რულ მეურნეობაში, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. როცა მეურნეობა ჯანსაღია, ოჯახს თამამად შეუძლიან თვალი გაუსწოროს მომავალს და სხვა დარგის ნაკლებსაც მეტი სიმძლავრით წააშველოს მაგარი ხელი.

Carthago delenda est — ს. მზადისი გვმართებს! — რ. გ.

სანადელო ფული

ჩვენს პრესაში და საზოგადოებაში ბევრი აზრი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია 20 ქრისტიშობისთვის ახალმა კანონმა, რომლის ძალითაც თავ.-აზნაურობისაგან უნდა გამოსყიდული იყვეს სანადელო მიწები. ამ მიწების ფასად ხაზინა თვითონ აძლევს თავ.-აზნაურობას ფულსა, რომელსაც შემდეგ გლეხებისაგან აჰკრეფავს. კარგია ეს კანონი თუ ავი, იგი უკვე არსებობს ფაქტიურად და ქვეყნის საფიქრებელი ის იყო, თუ თავ.-აზნაურობა, როგორ გამოიყენებს აღებულ ფულსა; გაჰფლანგავს უბრალოდ, მოახმარებს კერძო საქმეებს, თუ გადასდებს საერთო საქმისათვის... როგორც ეს ერთხელ მოხდა უკვე დიმიტრი ყიფიანის თაოსნობით.

კამათი და ლაპარაკი თავისით სწარმოებდა და რას იტყოდა თვით თავ.-აზნაურობა, არავინ იცოდა. აქა-იქ გაისმოდა ხმები, რომ ამა-და-ამ სამაზრო თავ-აზნაურობამ 15—20 % გადასდოვო, მაგრამ საბოლოო ჯამი არავინ იცოდა. რასაკვირველია, ჩვენი გაღატაკებული თავ.-აზნაურობისაგან არც მოსალოდნელი იყო დიდი თანხის გაღება საერთო საქმისათვის; მით უმეტეს რომ ბევრს არც კი ესმის თუ ეს „საერთო საქმე“ ქველმოქმედურად გაცემული ფული კი არ არის, არამედ სარგებლის მომტან თანხის შედგენისათვის, - მაგრამ ჩვენ მაინც მეტს მოველოდით საგუბერნიო კრებისაგან და 15 %, რომლის გადადება გადასწყვიტა საგუბერნიო კრებამ, არა ჰგავს მომწიფებულ გარდაწყვეტილებას. ჩვენი იმედი დამყარებული იყო იმ მოსაზრებაზედ, რომ, ჯერ ერთი სანადელო ფულის გაღება სასარგებლო იქნება თვით გამღებთათვის და მეორეც, ჩვენ მხედველობაში გვქონდა ის არა-ჩვეულებრივი ფსიხოლოგიური მოვლენა, რომ სათ.-აზნაურო კრებული უფრო მეტ საზოგადოებრივს ინსტინქტებს იჩენს კრებაში, ვიდრე იქ შინ, სოფელში, სადაც იგი კერძო ინტერესების დამცველია მხოლოდ.

ჩვენი მოლოდინი იქნებ კიდეც გამართლებულიყო, რომ მოხსენება სანადელო ფულის შესახებ უდროოდ არ ყოფილიყო წაკითხული, როცა ხალხი დაიღალა—ღამის პირველ საათზედ—და ბევრნი შინ მოდიოდნენ. ეს მოლოდინი არ გაგვიცრუვდებოდა, რომ მოხსენებას სჯა ბაასი მოჰყოლოდა და კრებაზედვე გამორკვეულიყო, თუ თვით კრებას რა სურდა.

წაკითხულ მოხსენებაში ბევრი საინტერესო ადგილები იყო; ნამეტნავად ისეთი, რომელნიც ახასიათებენ დიმიტრი ყიფიანს, როგორც საზოგადო და წოდებრივ მოღვაწეს. მისი აზრი ნათლად არის გამოთქმული, რომ თავ.-აზნაურობას შველა უნდა საერთო, საზოგადო საქმეებით, სწავლით, ეკონომიური ორგანიზაციით-ბანკით, რომელიც „ჩვენს აბაზს 8, 10, 15, წლის განმავლობაში ერთი ორად, ერთი სამად აქცევს. დიმიტრი ყიფიანს კარგად ესმოდა რომ სწავლა შეუვსებს თავ.-აზნაურობას იმ დანაკლისს, რომელიც მოუტანა ბატონ-ყმობის გადავარდებამ და ამიტომ მისი ერთად-ერთი ფიქრი იყო შექმნა თანხა, რომელიც ერთი მხრით აღზრდიდა ახალს თაობს და მეორე მხრით ეკონომიურად გააუმჯობესებდა მათ ყოფას. ბანკი სწორედ ესეთ დაწესებულებად ეგულებოდა. რამდენად გამართლდა დ. ყიფიანის აზრი, ყველანი კარგად ვხედავთ, როდესაც ეხლა რამდენიმე სკოლა და საზოგადოება ინახება ბანკის შემოსავლით და როდესაც თავ.-აზნაურობას, როგორც კრებულს— დიდი თანხა აქვს, ყოველწლიური შემოსავლის სახით.

მართალია, დ. ყიფიანმა ვერ განსჭვრიტა ის შედეგი, თუ რა ფასად დაუჯდებოდა ესეთი შემოსავლის ქონება კერძოდ თავ.-აზნაურობას და ქართველ ერს, რომელსაც ბანკისა და სხვა საშუალებით გაეყიდა და ეყიდება დედულ-მამული, მაგრამ ეს თვით თავ.-აზნაურთა უსაქმურობის და უთაურობის ბრალია, რადგან ბანკიდან აღებული ფული არასოდეს მამულზედ არ მოუხმარიათ, არავითარი გაუმჯობესება არ შეუტანიათ შიგ.

დ. ყიფიანის აზრი დიდებული იყო და მისი ცალი მხარის განხორციელებამაც დიდი სარგებლობა მოიტანა. იგი რომ სრულად განხორციელებულიყო და თავ.-აზნაურობას ისევე შესძლებოდა შეთვისება და შეგუება მისი აზრებისა, როგორც თვითონ ესმოდა, დღეს ქართულ ცხოვრებას შავი ყორნები არ დასჩხავლებდნენ.

დღეს სხვა დრო დადგა. გამოცდილებაც მეტი გვაქვს თითქო, თითქო მეტადაც განვითარდა არა მარტო საზოგადო ცხოვრება, არამედ თვით თავ.-

აზნაურობისაც, და ამის და მიუხედავად თავ.-აზნაურობის დღევანდელი გარდაწყვეტილება უფრო ჩამორჩენილია, მაშინდელთან შედარებით: მაშინ დ. ყიფიანი თხოულობდა $20^{0}/_{0}$-ს და დღეს კი გარდაწყდა მარტო $15^{0}/_{0}$.

კრება აღტაცებული ტაშის ცემით მიეგება დ. ყიფიანის საქმეთა მოგონებას და ამით გამოწვეულ სურვილს თავად.აზნაურობისას—გადასდოს 15%; მაგრამ არავის კი ხმა არ ამოუღია, რომ შესაძლებელია, მეტიც გადადებულიყო. ეს შეცდომა, ჩვენის აზრით უნდა გასწორებულიიყოს კერძოთ, ან პრესის საშუალებით, რომ დიდი საქმისათვის დიდი თანხა შეგროვდეს და ჩვენს დაავადებულ მეურნეობასაც დახმარება გაუწიოს და ფულის გამღებთაც ხეირიანი სარგებელი მისცეს.

* *
*

ვარდის გრძნეულებანი

(მოუმა ჰროზად)

ვარდთან სტუმრობა

...დღეს მას ვეწვიე. კუდრაჭა! გულ-გალეღილი ეთერის კალთაში ერწეოდა და ცქრიალა ფურცელთა თასის სურნელებას ნექტარისავით აწვდიდა ყველას.

-— აქ მოდი ახლოს, ნუ გრცხვენიან...

მიველი. ეთერს უბრძანა შეჩერება. ამღვრეულ თვალებში ჩამაცქერდა, მიყურა, მიყურა და გულიანად გადიკისკისა. შემდეგ აიღო თავი მაღლა და ჩვეულებრივი ღიმილით მეკითხება:

სთქვი, რად გიყვარვარ:

მე ვთრთი. ეს ხომ პირველი კითხვა არის, როცა ასე... მასთანა ვარ სტუმრად.

– ჰო, სთქვი, ნუ მალავ...

— აბა რა ვსთქვა, როგორ აგიხსნა: იქნებ იმიტომ, რომ **ვარდი** ხარ. მუნჯი ვიყავი, შენმა ხილვამ ამიხვა ენა. ან იქნებ იმიტომ, რომ შენ ასე ნარნარი ხარ, სურნელოვნების ნექტარით ათრობ იდუმალებას. აი, ეხლაც, როდესაც ყარიბი მომღერალი ნაღვლიანი ელეგიებით სევდის ზეწარში ვახვევ თვით ამ ლერწამთა ხეივანსა, შენ არა ჯავრობ, არ მიწყრები; იმდენად მწყალობ, რომ სიმთა ქვითინს ყურს უგდებ: ამაყი სულნი ასე სულგრძელნი არიან, არ კადრულობენ სხვათ განდევნას. ასეთთ კი თაყვანის ცემა გკუთვნით. მეც იმიტომ გაღმერთებ. იმიტომ ვაფრქვევ შენთვის ცხოვრებას... შენ არ დაეძებდი რომ მომწონებოდი: გნახე, აღვიგზნე, გარდავიქმენ სულ სხვა არსებად. შენ თვითონ მასწავლე სასწაულით ბულბულის ენა. მაშ რადა მკითხავ, თუ რად მიყვარხარ, ჩემო კეთილო! ჩემთვის ისიცა კმარა, რომ დილით, თუ მწუხრის ჟამსა აღმოვთქვა ჰანგი ზეციური მკვნესარე გულით, აღმოვთქვა ჩემი ნაღველი და ჰარმონიის წარმტაც ტალღებით შემოგახვიო გაზაფხულის ცისკრის ლეჩაქად. შენ? შენ რატომღა დამცინი? რატომ კისკისებ, როდესაც მოსულს ასე დაღვრემილს აქ დამინახავ?

— გითხრა: ჰო, კარგი: სწორედ იმიტომ,რომ **ვარდი** ვარ, ასე კეკლუცი და შემთხვევას გაძლევ მაგ ციური მელოდიებით შენ სწორთა შორის პირველი გახდე. პირველი სიტყვა „მიყვარხარ"—შენ რომ მითხარი, ეხლა ცეცხლის ალს დაემგზავსა, ის გაიზარდა, აღიგზნო ცამდინ და სივრცის უბეში ჰარმონიის ხლართს ჩაექსოვა. იქ, იმა სივრცის დაუსაბამო ტალღებზე იგი სამარადისოდ ისრბოლებს, ვით ეს ჩემი აკმეული სურნელოვნება. მათ არ ელირსვით არც შეხვედრა, არც შეულლება, მხოლოდ იმიტომ... რომ **ვარდი** ვარ, შენ კი ყარიბი მოგზაური, რომელიც **მგოსნის** სახელით გარდაქმნილი განგებ გაგტყორცნე სამარადისო სარბიელზე სახეტიალოდ.

ეკალთ ხითხითი

...ეს როგორ მოხდა, აღარ მახსოვს. ვგონებ მეორე დღით იყო. გონ-არეული მივიჭერ მასთან: მსუროდა, დედოფალთა დედოფალი ყლორტიდან მომეწყვიტა. მაგრამ ხელი წავატანე თუ არა, მწვანე შტო დაიხარა და ისე მწვავედ მიჩხლიტა წვეტიანი ეკლებით, რომ მყის შევჩერდი, დიდხანს ვიყავი ფერწასული, გაქვავებული, ვიდრე დედოფლის კისკისმა არ გამომაფხიზლა.

— მითხარ, მშვენებავ,—შევძახევი ათრთოლებულმა: რატომ მიკრძალავ, რად გამირბი? გწამდეს, სამტროდა არ ვიყავი შენთან მოსული. შენმა სიყვარულმა დამაბრმავა და იმიტომ მსუროდა მომეწყვიტე. ოჰ, რომ იცოდე... რომ იცოდე შენ შენი ფასი .. ოჰ, დედოფალო, გსურს იხილო შენი სახება! გსურს! ნებას დამრთავ აგწერო? ჰოო? შენ ნაზად არხევ თავსა... ვხედავ, დასტურს მცემ. ჰო და ვიტყვი: ხომ გინახავს გაზაფხულის პირს ცისკრის შარავანდედი? გინახავს? თურმე ნუ იტყვი, მზეს შენს ფურცელთა ფერადები მოუტაცნია და იმიტომ ჰმშვენის ის, იმიტომ ატყვევებს ასე თვალ-

სა. შენი ღიმილი?.. სუნთქვა?.. მაგრამ ამათ შესახებ ხომ გახსოვს! არა? მოგაგონებ: ვერხვთა ფოთლების შუა ღამის სული რომ გაინაბა და ნაზად ფშვინვა ამოუშვა, მაშინ, აი მაშინ აღმოვთქვი ის ჰანგი, ისეთივე ნაზი და მკბრალი, როგორც ყეყლუცობით დამთვრალი შენი მთვლემარე სუნთქვა.

მან შემაჩერა.

— გულუბრყვილო, მკითხავ, რატომ გიკრძალავ მოკარებას: არ იცი, თუ რომ მომწყვიტე, შენი სიმიც უმალ ჩაწყდება. მაშინ მარტო შენ უნდა გეკუთვნოდე. აქ ვინ დარჩება დედოფალთა დედოფალადა? ვინღა დარჩება ნიუწვდომელ მშვენების კერპად? მომწყვიტოს ერთმა? არასოდეს! უვნებლად მსურს ასე ვიყო, დავრჩე სიმბოლოდ.

კვლავად ავთრთოლდი. შურის ძიებად განვემზადე: მით უარესი, დედოფალო, მით უარეს-! მე შენ მოგიძღვენ ჩემი გული, ჩემი გონება! ამიერიდან კი წყევლა და კრულვა შენ; იყავი შეჩვენებული, თუ რომ ჩემებრ სხვასა დააბრმავებ, მოჰ ხიბლავ და როდესაც თვალებს დაუხუჭავ, შორს გაექცევი.

ჩემს წყევლა-კრულვას მან კისკისით გასცა პასუხი.

— სთქვი, რა გახარებს? — ვეკითხები გონ-არეული.

— ის, რომ დღეიდან უფრო მეტად შეგიყვარდები.

გავშრი.

— მარქვი, რად ჰფიქრობ, ვითომც ასე მოხდება მართლა?

— იმიტომ, რომ... გულზე გიჩხვლიტე!..

კიდევ გადიკისკისა. სისხლ შეყინული ვუყურებდი. ფოთლებ ქვეშიდან კი მისი ერთგული დარაჯები ეკლის ფარშუბს არხევდნენ და თავმომწონედ ხითხითებდნენ და ხითხითებდნენ...

წყევლის ღამე

...მთელ ღამის განმავლობაში ხანჯალსა ვლესდი. მინდოდა ალმასისავით გამომეწვერა, რათა მთლად ამეჩეხნა ჩემ დამცინველი დედოფლის ამალა და თვით ის ძალით დამესაკუთრებინა. აი, ორ პირად გავალაპლაპე. ერთი შემოქნევა და განიავდება მთლად ერთიან. მაგრამ... რად ვღელავ? წინაგრძნობა რას მიკარნახებს? აგერ რა ერთი ხანია ამ შავბნელ ფიქრებით დავხეტიალობ ზურმუხტოვან წალკოტში, რომელიც თვით მე გავაშენე. ხელიდან არ ვუშვებ ხანჯალს და ველი ცისკარს, რომ აღსრულდეს. ეხლაც შემეძლო მისი მოტაცება. მაგრამ არა, ღამით არ მივალ: ავაზაკი ხომ არა ვარ, რომ ბნელაში გამოვიტაცო! ცისკრად მივალ, რომ მის დარაჯნი ფხიზლად დამიხვდნენ. მანამდე კი...

ოჰ, მანამდე!

ჰო, მანამდე ასე უნდა ვიარო ისედაც დამწუხრებულ ხეივანთა ქვეშ. ამაოდ დავუწყებ ყურებას ბროლის აუზს, სადაც ფირუზით მოჭედილი გელაშაპის ისარი ცათამდე ასტყორცნიდა შადრევანთა შხეფს!

აი, ეს იაც... საბრალო, რად გინდა, რომ მარმაშის ლურჯ კაბას აშრიალებ, არ იცი, რომ შენი ლეჩაქის საიდუმლო ჩურჩულით მოთხრობილი ზღაპრებითაც ვერ მომაჯადოვებ, შენ ვერ მასწავლი გრძნეულებას, რომ თავს დავძლიო. სამაგიეროს გადავუხდი, ოჰ, ვფიცავ შენს თავს... გაფიცებ, შორს, შორს.. შენ კი არა, თვით ცელქი ნიავიც, რომელიც, არ ვიცი რატომ, დედოფლის ამალიდან გამოპარულა, ამაოდ სცდილობს, რომ გამართოს. შენც შესდექ, საბრალო, შენს თვალებშიაც სევდის ღრუბელი დასცურაობს, როგორც საიდუმლოების უბეში დასადგურებელი ყარიბი ობლობა. რა გინდა ჩემგან? რად მოსულხარ ამ შუალამეს? რატომ გველსავით მაჭდობ მაგ შიშველ მკლავთა? ან რატომ სცდილობ გამაბრუო შესეტყვილ კოცნით? სთქვი, სთქვი, ყურს გიგდებ. მაგრამ რაა! შენ თვითონ ჰკვნესი, შენი დამშთვალი თვალები ჩემებრ ამაოდ გაიყურებიან იდუმალების უდაბნოსაკენ, სადაც გამქრალა ზექალა აიაზმით სავსე სადაფის სურით. ის აქ არ მოვა, წვიმის ცრემლით არ მორწყავს ამ გვალვით მოთუთქულს წალკოტს, იმიტომ რომ... ჰვრძნობს, რომ მას მოვკლავ...

წყევლა!.. ოჰ, წყევლა!..

მაგრამ ჩუთ!.. ცისკარმა სხივი გადმოსტყორცნა:

უკვე თენდება!

მზე-სიძე

...ცისკიდურზე ალიონმა კოცონი დააგზნო. ტოროლა წკრიალით ცას აეკრა. იქნება მახარობლად მიდის ზეციერ მეუფესთან, რომ ჩემი გმირობა გადასცეს? იქნებ... მაგრამ რაღა დროს ლოდინია, უნდა გადასწყდეს, ან ის, ან და მე...

გახელებული მივიჭერი ზურმუხტოვან სადგურისაკენ, სადაც ყოველ დილით დედოფალთა-დედოფალი განისვენებდა ორპირი სამჭრელო შემოვუ-

ქნიე მის გულ-მკერდსა. მწვანე სამეფო შეირხა. ძირს რომ დავხედე, შევამჩნიე, რომ ულფერული ფურცელნი თოვლის ბარდნებად ეფინებოდა სველ მიწასა. შევკრთი. მახვილი ძირს დამვარდა.

— რას ნიშნავს ესა? ეს ხომ... მარტოდ ღა სამოსელის ნაფლეთი არის! რაიქნა თვითონ დედოფალი? ვინ მოიტაცა?

მხოლოდ ეხლა ამოიღეს მწვანე დარაჯებმა ეკლის ფარ-შუბი, ააჩხარუნეს და რა მიცნეს, კვლავ გულიანად ჩაიხითხითეს:

— გვიანღა არის!

— როგორ!

დედოფალი ზეცას მზე-სიძემ წაიყვანა. დილას წავიდნენ...

დავემხე პირქვე. ცრემლთ ნაკადით ვალტობდი მიწას.

— დედოფალო, ოჰ, დედოფალო...

უნუგეშოდ ვიგლეჯდი თმებსა მტირალმა ზე რომ ავიხედე, მხოლოდ მაშინ შ ვნიშნე აკისკრებული ცეცხლის ეტლი, რომელსაც მახარობლად წელან აფრენილი ტოროლა მიუძღოდა. თეთრი არწივი ეტლს გარშემო დასტრიალებდნენ. მზე სიძეს გულში ჩაეხუტნა დედოფალი, გაბრუებული ჰკოცნიდა ბაგეს და თან აბრეშუმის წითელ კაბასა ციურ მარგალიტის ყელსაბამს ოქროს წვიმით უფერადებდა.

შესდექ, ეგ დაგვწვამს!

შევძახევი გონ-არეულმა.

— ნუ გეშინიან... ახლა ციდან მსურს გიდედოფლო...

გადიკისკისა. თვითონაც ტუჩნი შეაგება მზე-სიძის ტუჩებს.

— აქ რას მიტოვებ მე ბედკრულსა? — ვეკითხები გულდაწყვეტილი.

— აკი ვითხარი: **მგოსნის** სახელს. საწიდნარად გქონდეს სამოსელი, მანდ რომ დავტოვე!

კვალად დავემხე და მჭკნარ ფურცელთ დავუწყე კოცნა.

დ. კასრაძე.

„ახალგაზრდა მოღვაწე"

რასაკვირველია, ყველამ იცის რომ ქვეყანაზედ კიდევ ბევრი დაიარება რაჟდენ ფხაკაძე ის ფხაკაძე, რომელზედაც წარსულ ნომერში სწერდა ბატონი გან-მანი. მაგრამ ის კი არავინ იცის, თუ ფხაკაძე და გან-მანი ერთმანეთის როგორი მახლობელნი არიან. არის ხოლმე ცხოვრებაში ისეთი უბედური ჟამი, როცა ადამიანი სხვის თვალში ბეწვსა ხედავს და თავისაში ხელსაც არა. მაგრამ გან-მანი ასეთი არ გახლავთ და როცა ვიზედმე ხმას იღებს, ნამეტნავად, როცა ფხაკაძეზედ ჩამოვარდება ლაპარაკი, ყოველთვის იმის თვალშიც ისეთივე წვრილ ბეწვსა და მარგილებს, ხედავს როგორც თავისაში. ისეთის სიმართლით აღწერს ხოლმე ფხაკაძის თვალში ნაპოვნ დირეებს, ისეთი ზედმიწევნით აღნიშნავს მის ნაკლსა, რომ შეიძლება კაცმა იფიქროს — ორთავეს თვალში ერთსა და იმავე ოსტატს უჩორკნია ეს დირეებიო; ერთი სიგრძე-სიგანისა, ფერისა და ხისა, ერთნაირი სისქისა. და ეს, რასაკვირველია, არაფერს უცნაურობას არ წარმოადგენს, როცა საიდუმლოდ გეტყვით, არავის კი უთხრათ, რომ გან-მანი და რაჟდენ ფხაკაძე — ერთი და იგივე ადამიანია. ეს აღმოჩენა მე არ მეკუთვნის, რადგან ძნელია რომელიმე ადამიანი სხვის გულს და სულს ისე ჩასწვდეს, როგორც თავისას და ამიტომ ასეთ აღმოჩენაშიაც თვითონ გან-მანი გამომიტყდა.

— იცით, მითხრა, მე დიდი ხანია ვფიქრობდი როგორმე წერილის დაბეჭდვას, რადგან ჩვენში ყველა სწერს და სახელს იხვეჭავსო. მე მინდოდა ქვეყანა გამეკვირვებინა იმ ღრმა აზრებით, რომელნიც თავში მიფრინავდნენ, მაგრამ ვერ მოვერიეო.

— შემდეგ, მიამბობდა აღფრთოვანებული, დავიწყე ფიქრი მოთხრობაზედ, სატირულ მოთხრობაზედ, მაგრამ ერთი წლის ფიქრმა დამარწმუნა, რომ მოთხრობის დაწერა უფრო ძნელია, ვიდრე პუბლიცისტურ წერილისა, თუნდაც ისეთ თემაზედ, როგორც „ქართულ მწერლობის დაცემა..."

უბედურება ის იყო, რომ ფიქრს დავიწყებდი თუ არა, მაშინვე ჩაბეძინებოდა, ვიდრე პირველ სტრიქონს შევათავედი... ექიმმაც კი მითხრა, „მძინარა ბუზმა" ხომ არსად გიკმინაო.

მაგრამ ერთხელ რომ გამომელვიძა, გონება გამინათლდა და ვიფიქრე: მოდი ჩემს ამბავს დავწერ, ჩემს ფიქრს და თავზედ რაც გადამხდომია. არც არავინ მიხვდება, თუ კაცი თავის თავზედ სწერს და არც ვინმე იწყენს, რადგან ჩემს თავს მე თვითონ ხომ ვერ გაუწყრებიო. თქმა და ასრულება ერთი იყო. წავაწერე სათაურად ჩემი სახელი და გვარი, რომელიც განითა და მანით აწყობა, აღვწერე ჩემი ვინაობა და წავიღე რედაქციაში. რედაქტორმა ღარი მტკიცა: არ შეიძლებაო. ჯერ ერთი ვის გაუგონია,

მოთხრობასაც ის ერქვას სახელად რაც ავტორსაო. ეს ხომ ავტობიოგრაფია გამოდისო.

მე დაუთმე და მეორე დღეს მოთხრობას ,,ახალგაზრდა მოღვაწე'' დავარქვი. მაგრამ რედაქტორმა მაინც არ დაბეჭდა, არ შემიძლიო დავიწყე ყოველ-დღე სიარული რედაქციაში. იქამდის ჩავაცივდებოდი ხოლმე, რომ..უნდა გამოგიტყდეთ, რედაქტორი მეტად ზრდილობიანი იყო, თორემ სხვ კისრის ტეხით ჩამომაგდებდა ძალალი კიბიდან. ბოლოს და ბოლოს იქამდის გაუჭირე საქმე, იმდენი ვეხვეწე, რომ ერთ მშვენიერ დღეს, როცა რეპორტიორი ავად გახდა და ქალაქის ახალი ამბები არავინ მოიტანა—რედაქტორმა მითხრა: მოიტა, მაგით მაინც გავავსოთ ცარიელი ადგილიო. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა მეორე დღეს გაზეთში წავიკითხე ჩემი ინიციალები: გან-მან. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, თითქმის ვერ ვიცანი ჩემი მოთხრობა, ისე გადაეკეთებინა, შეესწორებინა რედაქტორს და იმდენი უკეთესი სინამდვილით ვიყ ვ აღწერილი. ერთი სიტყვით, დამიბეჭდეს. ეს იყო და ესა, მას აქეთია, ჩემს თავში აღარაფერი ფიქრი არ შესულა და ვერავითარი წერილის დაბეჭდვა ვერ მომიხერხებია; არსად მიშვებენ: ეგეც ბევრიაო.

მაგრამ გავიდა დრო, ყველას დაავიწყდა რასაკვირველია, რომ ერთხელ სადღაც დაბეჭდილი იყო ,,ახალგაზრდა მოღვაწის'' ამბავი. გადავწერე მე ხელმეორედ და წავიღე სხვა რედაქციაში. რედაქტორს არ ეცალა და მითხრა: აი, ჩემ ამხანაგს მიეც და ის წაიკითხავსო. რედაქტორის ამხანაგს მოეწონა და დამპირდა დაბეჭდვას. ერთი თვის განმავლობაში ყოველ დღე დავდევდი უკან და ბოლოს გამოვცინცლე... ერთ დღეს კიდევ ვნახე ჩემი... არა, სიმართლე სჯობია—ნახევრად ჩემი მოთხრობა დაბეჭდილი. მეორე დღეს რედაქტორმა თავში ხელი წაიკრა: ეს რა მოგვივიდაო და თავისი ამხანაგი გალანძღა: რა დაგემართა, როგორ არ გახსოვს რომ ეს მოთხრობა ხუთი წლის წინად დაბეჭდილი იყო ,,საამდროო გაზეთშიო''. მაგრამ რაღა ეშველებოდა წამხდარ საქმესა. მე კი მიხაროდა.

— რა ვიცი, ყველა სისულელე სად დავიხსომო; ან ვინ იცის, წამიკითხავს კი, მე მოთხრობები არ მიყვარს.

რედაქტორი ძალიან გაჯავრდა და იმის აქეთია აღარც კი მიშვებენ შიგა ამხანაგს უნდოდა გამომემჟღავნებინა ეს ამბავი, მაგრამ რედაქტორმა შეაჩერა: ეგ არ ჩაიდინო—სისულელეს თუ ჩაიდენ გამომჟღავნება როგორღა შეიძლებაო. ეს კი იქნება ვერავინ შეამჩნიოსო.

ეს რომ გავიგონე, გამეხარდა: კიდევ მოვახერხებ რამდენიმე რედაქტორის მოტყუებას, რადგან ვერავინ გაბედავს თავის შეცდომების გამომჟღავნებასაო. და აი ექვსი წლის უკან [illegible] დავბეჭდე მესამედ ჩემი ,,ახალგაზრდა მოღვაწე''.

ჩვენც არ გვესიამოვნება ჩვენი ასეთი შეცდომის გამომჟღანება, მაგრამ ნათქვამია რომ ,,წინანი უკანასათვის უნდა ვიქმნეთ გზად და ხიდად'' და ჩვენც ვაფრთხილებთ ჩვენს მომავალ გამომცემლებს გაუფრთხილდნენ ფხაკაძეებს: ვის დაახსოვდება რომ სადღაც მოთხრობა იყო დაბეჭდილი და შეიძლება კიდევ მეოთხედაც დაბეჭდოს გან-მანმა თავისი ამბავი. ჩვენ უკვე ვიწვნიეთ.

ნაცარა.

1875 წელი

საქართველოსათვის ეს წელიწადი ისტორიულ წლად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ეპოქა, საზოგადოთ, მდიდარი არ არის ისტორიულ წლებით.

მეტადრე თავის შინაურ ცხოვრებაში.

მაგრამ რას გვეუბნება 1875 წელიწადი?

1875 წელს დიმიტრი ყიფიანის თავგამოდებულ მოღვაწეობის წყალობით, თბილისში, დაარსდა სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი.

რა ღვაწლი მიუძღვის ამ ბანკს ქართულ კულტურულ-განმანათლებელ და უკანასკნელ დროს ეკონომიურ ასპარეზზედ, ამას მოგვითხრობს სია იმ დაწესებულებათა და პირებისა. რომელნიც ამ ბანკის მოგებით იკვებებიან; ან რომელთაც უკანასკნელი ეხმარება.

მაგალითად, გადავშალოთ სია 1912 წლისა:

თბილისის ქართული გიმნაზია
გორის სავაჟო გიმნაზია
თელავის სავაჟო პროგიმნაზია
სიღნაღის ქალთა სკოლა
გორის ქალთა გიმნაზია
გორის ქალთა პროფესიონალური სკოლა
ქალთა საზოგადოების „განათლების" სკოლა
თბილისის ჭრა-კერვის სკოლა
მცხეთის ქალთა სასწავლებელი
თელავის წმინდა ნინოს სასწავლებელი
თბილისის წმ. ნინოს სასწავლებელი
მიხაილოვის პროგიმნაზია

თბილისის უმაღლეს ქალთა კურსები
ქ. შ. წერა-კითხვის გამ. საზოგადოება
სოფ. მუხრანის საბავშვო ბაღი „იასლი“
ყაზბეგის საქსოვი სკოლა
სახალხო უნივერსიტეტი
სახალხო სახლში ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე
ახალციხის ქველმოქმედი საზოგადოება
ქართული ისტორიულ-ეტნოგრაფიული საზოგადოება
ქართული ფილარმონიული საზოგადოება
ქართული დრამატიული საზოგადოება
ქართული სიტყვა კაზმულ მწერ. საზოგადოება
ქართული მუზეუმი
წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა
ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება
თბილისის სასოფ.-სამეურნეო სკოლა
საადგილ-მამულო კომისია
მევენახეთა საზ. „კახეთი“
გორის მეურნეთა ამხანაგობა ანუ „სინდიკატი“
მერძევეთა ამხ. „ლილო“
მერძევეთა ამხ. „ანკარა“
ჟურნალი „განათლება“
ცნობილ მეხილეს ს. ხეთაგურს სამაგალითო სანერგის მოწყობისათვის
კ. დოდაევს სვანეთის სამეცნიერო გამოკვლევისთვის
ა. ვ. ქიქინაძე ა. შანშიაშვილი
და სხვა ქართველი მწერლები, მგოსნები...

ეხლა ნათელი არის, რატომ უნდა ჩაითვალოს 1875 წელი ისტორიულ წლად!

ქართული ეროვნული ცხოვრება ინახება, ვითარდება და იფურჩქნება ამ დიდ დაწესებულების დახმარებით...

ამავე ბანკის წყალობით ქართველობას მალე დაუდგება მეორე ისტორიული წელიწადიც — 1915 წ!

როცა ქართველობა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის სახით ჩაუდგება სათავეში კახეთის რკინის გზას.

24 თიბათვეს 1913 წ. ქართლ-კახეთის სათავად-აზნაურო საგუბერნიო კრილობამ დიდი ხმის უმეტესობით საბოლოოდ გადასწყვიტა: შეიძინოს კიდევ 5000 აქცია კახეთის რკინის გზისა, რომ 1915 წელს ამ მოგებიან გზის სრულ უფლებიანი ბატონ-პატრონი გახდეს.

1915 წელი ახალი ისტორიული მომენტი იქნება ქართველთათვის.

და ამრიგად ქართულ ეკონომიურ საქმიანობასაც ქართველობა საკუთარ ქონებით და თვითონ გაუძღვება...

და ქართულ განათლებას, კულტურას და ეკონომიკას თვით ქართველები მოუვლიან და არავის აღარ დაელრიჯებიან...

1875 წელმა დაჰბადა 1915 წელი

1875 და 1915 წლები ერთად დაჰბადავენ დარაზმულ და მოწყობილ სამშობლო მხარეს და ქვეყნის მომავალს გზას გაუხსნიან კეთილ-დღეობისაკენ.

დ. კახელი.

ა. ვ. კრივოშეინი და მუღანის ველის დასახლება

მთავარ-გამგებელი მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობისა სტატს-სეკრეტარი ა. ვ. კრივოშეინი, როგორც ჩვენა ვწერდით, ამას წინად ამიერ კავკასიაში მობრძანდა. ინახულა მუღანის ველი, შავი ზღვის სანაპიროები და დანარჩენ ქვეყანას არავითარი ყურადღება არ მიაქცია, თუმცა სახელმწიფო თვალსაზრისითაც ყველა კუნჭულს სამეფოისას თავისი ფასი აქვს.

ამ ჟამად კრივოშეინს შეუდგენია „წერილი“ თავის 1913 წლის მოგზაურობის შესახებ მუღანის ველში. ეს წერილი დართული აქვს უქვეშევრდომილეს მოხსენებას, როგორც გადმოგვცემს „ზაკავკაზიე“. შიგ მოთავსებულია ორი რუქა და მშვენივრად დასურათებულია ილუსტრაციებით; ეს წერილი მშვენივრად ახასიათებს მთავრობის პლანებს ამიერ კავკასიაში.

საერთო განყოფილებაში, ა. ვ. კრივოშეინი ამბობს შემდეგს:

„ერთი წლის წინად, უმაღლესის ნებართვით, მე ვიყავი თურქისტანში. უქვეშევრდომილეს წერილში ამ მოგზაურობაზედ, მე განხილული მქონდა პლანი მთავრობის მოქმედებისა ამ მხარეში, და გამოვთქვი აზრი, რომ აქ შეიძლება კიდევ რამდენიმე მილიონი დესეტინა მიწა მოირწყ ს, ერთიორად გადიდდეს ბამბის მოყვანა და რამდენჯერმე გამრავლდეს რუსის მოსახლეთა რაოდენობა.

...ერთი წლის განმავლობაში მოხერხდა მარტო 20,000 კაცის გადასახლება რუსეთიდან.

თურქისტანი ერთად-ერთი ადგილი არ არის რუსეთის მებამბეობისა. ამ საქმეს დიდი მომავალი აქვს ამიერ კავკასიაშიც. თუმცა ამ მხარეში ეხლა ექვსჯერ ნაკლები ბამბა მოდის, ვიდრე თურქისტანში, მაგრამ მულანის ველში გამართული საცდელი არხები იმედს იძლევიან მებამბეობის ფართოდ დაყენებისას.

აი რატომ ვთვლიდი აუცილებლად, თურქისტანში, შარშანდელ მოგზაურობის შემდეგ წასვლას კავკასიაში და პირველ ყოვლისა მულანის ველში, რომ გავცნობოდი ადგილობრივ პირობათ და ადგილობრივ მცოდნეთა გამოკითხვის შემდეგ, შევდგომოდი ჩვენი პლანების განხორციელებას. როგორც რუსეთის განაპირა ქვეყანა, ამიერ კავკასია, რასაკვირველია, ბევრად უფრო სხვა და სხვა ფერია, ვიდრე თურქისტანი. თურქისტანი უფრო სადა და ღონიერია, იქ კლასიკური ქვეყანაა ხელოვნურ სარწყავების, ცნობილი ,,სამეფოა მებამბეობისა''. ამიტომ სამეურნეო მიზნები რუსეთის მთავრობისა აქ მთლიან სურათად ყალიბდება: მორწყვა ახალი მიწებისა, რუსეთიდან გადმოსახლებულთა ხელით დასამუშავებლად ბამბისათვის.

ამიერ კავკასია, რომელიც აქამდის უფრო მთის ქვეყანად ითვლებოდა, ქვეყანად ნავთისა და შავი ქვისა, უფრო ცვალებადი და შერეული ხასიათისა ყოფილა. აქ უფრო რთულდება ჩვენი მიზნები იმის მეოხებით, რომ მკვიდრნი სხვა და სხვა ეროვნებისანი არიან, სხვა და სხვა წოდებისანი, შეხებიათ ოტომანი ევროპიელი კულტურა და ამასთანავე იგი ჩამორჩენია თურქისტანს სასოფლო მეურნეობაში.

მაგრამ ეს სხვა და სხვაობა არ უნდა გვიხვევდეს თვალს რუსეთის სახელმწიფოებრივ მიზნების ლრმა ერთობაზედ ამ ორს განაპირა ქვეყანაში. სასოფლო სამეურნეო პროგრამა, შემუშავებული თურქისტანისთვის ბევრში გამოსადეგია ამიერ კავკასიაშიაც.

შემდეგ კრივოშეინი გადადის მულანის ველის მორწყვის საკითხზედ მტკვრისა და არეზის წყლითა და დასძენს: ამასთან უნდა დავიცვათ ორი პირობა: 1) რომ ტეხნიკურ პროექტებს არხებისას ამტკიცებდეს მთავრობა საერთო გეგმასთან შესაგუებლად მტკვრისა და არეზის წყლით სარგებლობისათვის და მეორეც, რომ სარწყავი მიწები მიეცეთ დასახლებლად რუსებს.

შედარებითი სიმცირე სახელმწიფო მიწებისა, რომელიც მორწყვის კავკასიაში, გამოისყიდვის იმითი რომ აქ უფრო დაჟინებით არის საჭირო რუსეთიდან გადმოსახლება, ვიდრე თურქისტანში, საცა სათავდარიგო თანხა მიწისა ერთი სამად მეტია.

თუ არ მორწყვა ახალის მიწებისა ძველ კავკასია დაკარგულად უნდა ჩაგვეთვალა რუსების კოლონიზაციისათვის. მორწყვა მულანის ველისა აღადგენს დაკარგულ შესაძლებლობას ნახევარ მილიონ რუსის გადასახლებისას კავკასიაში და ამ შესაძლებლობას უნდა ისე გაუფრთხილდეთ, როგორც თვალის ჩინსა.“

აი როგორ ზრუნავს მთავრობა ადგილობრივ მცხოვრებთათვის. იგი ხელმძღვანელობს ვითომ მარტოოდენ საღ სახელმწიფოებრივ პოლიტიკით და იმ დროს როცა ადგილობრივი მკვიდრნი სულს ღაფავენ უმიწა-წყლოთ უკულტურობისაგან, მთავრობა მილიონების ხარჯვას არ ერიდება, რომ უდაბნო მორწყას, ააყვავოს, ოღონდ ნახევარ მილიონი რუსობა ჩამოთესოს კავკასიაში. რასაკვირველია, უდაბნოს მორწყვა იმიტომ დასჭირდათ, რომ მთლიანი ტერიტორია შეჰქმნან მომავალ კოლონიზაციისათვის, ვინაიდან, ცდა კავკასიაში გაბნევისა რუსის მოსახლეთა არ გამართლდა და რუსიფიკატორულმა ჟინმა ვერ მიაღწია საწადელს: უმეტესობა გადმოსახლებულთა თვითონ გადაგვარდა, შეეგუა მკვიდრთა კულტურას, როგორც უმაღლესს და ახლა საჭიროა ახალი მეთოდი, ახალი ცდა გუნდ-გუნდი კოლონიზაციის შექმნისა, რომ სხვა და სხვა საჭიროების დროს აქაც ჰქონდეთ ბაზა მოქმედებისა. ეს არა მარტო უნდობლობაა ადგილობრივ მცხოვრებთადმი — ეს ჩვეულებრივი ბიუროკრატიული ნაბიჯია — ინოროდცების შევიწროვება რუსების სასარგებლოდ, მაგრამ რამდენად არის ეს სახელმწიფოებრივი მოსაზრება ბრძნული — ძველი და ახალი ისტორიაა მაჩვენებელი.

ქ რ ო ნ ი კ ა

კვირას, 30 ივნისს, თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში (ბელინსკის ქ. № 2), დანიშნულია **„საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ წევრთა წლ ური კრება.**

კრების საგნებია:

1. ე. თაყაიშვილის მოხსენება: ,,ბორჩალოს მაზრის ქართული ნაშთები და მათი წარწერანი'.

2. საზოგადოების მოქმედებისა და შემოსავალ-გასავლის წლიური ანგარიშები 1911-ისა და 1912 წლისა; აგრეთვე სარევიზიო კომისიის აქტი.

3. სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1913 წლისათვის.

4. „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ და „წერა-კითხვის საზოგადოების“ მუზეუმ-ბიბლიოთეკათა შეერთების საკითხი.

5. ვაკის მამულის (1 დესეტინა) გაყიდვის საკითხი.

6. საბჭოს წევრების, მათი კანდიდატების, სარევიზიო კომისიის წევრთა და საზოგადოების ახალ (საპატიო და ნამდვილ) წევრთა არჩევანი.

კრება დაიწყება დილის 10 საათზე. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

—

უბედურება გოლოვინის პროსპექტზედ როცა კერძო პირი აშენებს სახლს ან თუნდა მარტო რამდენიმე აგურსა სცვლის თავის სახლში, —ქალაქის მართველობა დიდის სისასტიკით უკრძალავს ამას, თავის ნება დაურთველად ვითომდა მცხოვრებთა ინტერესების დასაცველად; როცა კიბის საფეხური ერთი გოჯით მეტია გამოწეული ვიდრე ეს დავთარში უწერიათ, როცა ფანჯარა ისე არ არის, როგორც მასა სურს, როცა ქუჩაში გამვლელს დაექცევა რამე სახლის წინა და სუნს აუშვებს, როცა... ერთი სიტყვით ყოველ შემთხვევაში ქალაქის მამები სასტიკად სჯიან სახლისპატრონებს —სანიტარულ, არქიტექტურულ, ტეხნიკურ თუ სხვა დადგენილებას არ ასრულებთო და როცა საქალაქო ჯირღნები ისე ყარან, რომ ერთ ვერსზე ვერ გაუვლით, როცა საზოგადო საჭირო ადგილები ისეთ მდგომარეობაშია, რომ კაცს ეშინია ახლო მიეკაროს, როცა თვით ქალაქის სახლი ინგრევა და ხალხს ქვეშ იყოლებს—მაშინ ქალაქის მართველობა დინჯად ზის და ამბობს: სხვა ქალაქებშიც ხდება ასეთი ამბავიო.

სხვა ქალაქებში ბევრი რამ უწესოება ხდება. ამას წინად სადღაც ქალაქში პროკურორმა ქალაქის მთელ მართველობას ციხეშიც კი ამოაყოფინა თავი, მაგრამ ეს გასამართლებელი საბუთი არ არის ჩვენ „მამებისათვის“. სიკვდილის წინ ქალაქის გამგეთ უნდა ქედი მოიხარონ და გულახდით გამოტყდნენ იმ აუტანელ დანაშაულობაში, იმ ცოდვაში, რომელიც დაატრიალეს თბილისში. სამი მოკლული ადამიანის სისხლი, რამდენიმე დასახიჩრებული და სამუდამოდ ცხოვრებიდან განდევნილი პიროვნება, მოითხოვს სასყიდელს და უნდა დაისაჯნენ, რასაკვირველია, დამნაშავენი, მაგრამ განა ერთი ორი კაცის დასჯა გაასწორებს საქმეს? თვით პრინციპი ჩვენი ქალაქის მმართველობისა სრულიად ყალბია და შენჩემიანობაზედ დამყარებული, თორემ განა შესაძლებელი გახდებოდა ასეთი უბედურება, რომ ხატისოვს და მის დამქაშებს შეესმინათ სადი გონების რჩევა და გამოეკვლიათ დანამდვილებით ჩამოქცეულ შენობის სიმაგრე? სიხარბემ იქამდის მიაღწევინა, რომ ძირი გამოუთხარეს სახლს და მაღაზიის პატრონები კი შიგ დასტოვეს; იქამდის დაეცა მათი მოაზრება, რომ გაჯიც კი არ აჰყარეს კედლებს, რომ გაესინჯათ იმის იქით ქატო იყო თუ კედელი, ნაგავი თუ აგური. მესამე სართულის დადგმა მოინდომეს და პარაპეტიც არ ჩამოაქციეს. ეხლა ამბობენ: წვიმამ ჩამოაქციაო. ვსთქვათ ეს მართალიც იყვეს—განა შესაძლებელია ვინმემ ისეთ პარაპეტის ზემოთ, რომელსაც ერთი საათის წვიმა დააქცევს -მესამე სართული ააშენოს? შესაძლებელია კედლების ამოყვანა ისეთ ფუტუროზედ, როგორიც გამოდგა ჩამოქცეული პარაპეტი? არც ერთი მთელი აგური, არც ნატამალი კირისა. და ეს არის ის პატრონი ქალაქისა, რომელსაც საკუთარი ინჟინრები, არქიტექტორები და ტეხნიკოსები ჰყავს. ჩვენ გვეშინის, რომ 26 წლის წინადვე დაძველებულად და უხეიროდ ცნობილი სახლი შიოევისა, ისევ მკვიდრ საძირკვლიანად მოეჩვენება ჩვენ სოლოლაკელ მამებს და მაინც დაადგამენ მესამე სართულს, რომ ერთ მშვენიერ დღეს კიდევ წამოიქცეს და რაც დღეს დააკლდათ მსხვერპლი, შემდეგში შეგვისრულებენ. სითამამე კარგია, თუ იგი სხვის უბედურებაზედ არა შენდება და ქალაქის მამები ამასაც არ დაგიდევენ: თავი წაიჭამეს საბოლოოდ.

—

უგანათლებულეს თ-დის გრუზინსკის ასულის მემკვიდრეობა: გაზეთების სიტყვით, გარდაცვალებულ უგანათლებულეს თ-დის ასულს რ. ი. გრუზინსკის დიდი მემკვიდრეობა, მომეტებულ ნაწილად მამული, დარჩენია, რომელიც 100,000 მან. ღირს. როგორც ამბობენ, განსვენებულს სიცოცხლეშივე სურვილი გამოუთქვამს, რომ მოსკოვის მახლობლად მდებარე მამულ „შარაპოვო“-ში დაარსდეს ახალშენი ღარიბ ქართველთათვის. განსვენებულმა დასტოვა მრავალი ნივთი, რომელიც ქართველთა მეფეებს ეკუთვნოდა: ავეჯეულობა წითელის ხისა, ღერბებით, შესანიშნავი როია-

ლი, სურათები, ქანდაკებანი, ჯვარი ქართველ მეფეებისა წმ. გიორგის ნაწილებით. განსვენებულს, როგორც ამბობენ, ანდერძი არ დაუტოვებია და მთელი მისი ქონება გადავა მისი ძმის ნ. ი. გრუზინსკის განკარგულებაში. კარგი იქნებოდა, რომ ჩვენმა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ეხლავე მიიღოს რაიმე ზომები, რომ განსვენებულის რ. ი. გრუზინსკის ფრიად ძვირფას ქონებას თავი მოუყაროს ქართულ მუზეუმში. შესაძლოა ეს დიდი განძეულობა სრულიად გაიფანტოს და დაეკარგოს ქართველობას. ამისათვის საჭიროა საზოგადოებამ მიწერ-მოწერა გამართოს განსვენებულის ძმასთან ნ. ი. გრუზინსკისთან და უფრო კარგი იქნება, რომ გაგზავნოს მოსკოვში ვინმე თავისი წევრთაგანი უკანასკნელთან მოსალაპარაკებლად.

— —

თ-დ დიმ. ჩოლაყაშვილს, როგორც ერთ დამფუძნებელთაგანს კახეთის რკინის გზისა, შეუტანია ქართლ-კახეთის თავად აზნაურობის სადეპუტატო საკრებულოში წინადადება, რომ თავად-აზნაურობამ ეხლავე აღძრას ახალი თხოვნა მთავრობის წინაშე კახეთის რკინის გზის გაგრძელებისა თელავიდან ახმეტამდე მომავალ კავკასიონის საუღელტეხილო გზასთან შეერთებამდის.

— —

კახეთის რკინის გზაზედ მუშაობა ჩქარი ნაბიჯით მიდის. რელსები კიდეც დაუწყვიათ 92 საჟენზედ და ახლო მომავალში მსხვილი შენობებიც დამთავრებულნი იქნება.

— —

ტელეგრამა ბათომიდან, სრულიად რუსეთის ექიმთა და ბუნების მეტყველთა მე XIII კრების მონაწილეთა ერთმა ჯგუფმა შემდეგი ტელეგრამა გამოგზავნა:

ვსტოვებთ რა კავკასიას, მე-XIII კრების წევრთა ერთი ჯგუფი უძღვნის სალამსა და გულწრფელ მადლობას საერთოდ კავკასიის ერებს და განსაკუთრებით კი ქართველებს, იმ სტუმარ მოყვარეობისა დს გულღიაობისათვის, რომლითაც დაგვიხვდნენ ჩვენ თბილისში და მის არე მარეში ყოფნის დროს. ალექსანდროვი, ბლინოვი, ბოგომილოვი, ბელზოვიჩი, ბორისოვი, ბისტრიცკი, ვასილიევი, ვოლხოვსკაია, გალიუნი, გერმაშევი, გრაჩოვი, ზახაროვი, კოზლოვი, ლეძელი, ლიახოვსკი, მაკაროვი, ნაზაროვი, ნიკოლსკი, ორლოვი, პარხომენკო, მამანოვი, რუსინოვსკაია, რუსინოვსკი, სელეზნიოვი, სერგეევი, სიდოროვა, ილბედსკი, სოლოვიოვი, სტეპურინი, ბ. ტერენტიევი, უბაკოვი, ბეშკოვსკი, ჩისტიაკოვი, ჩისტიაკოვისა, შიბკინი.

— —

საკოოპერაციო კურსებზედ, ... ივლისის 15-ში თბილისში იმართება, ... ნელი ჩაეწერა კიდეც. არიან დასავლეთ საქართველოდამაც.

— —

ქართული სახალხო თეატრი. გაზეთებში დაიბეჭდა ა. წუწუნავას წერილი, რომლითაც იგი ამცნობს საზოგადოებას, რომ ამიერიდან ქართულ სახალხო თეატრს თავს ანებებს. ფრიად სამწუხაროა რომ ამის მიზეზად რეჟისორი კერძო პირთა ინტრიგას ასახელებს და საზოგადოთ იმ ატმოსფერას, რომელიც გამეფდა ამ ბოლო დროს სახალხო წარმოდგენათა წრეში და რომლის შესახებ უკვე ჰქონდათ გაზეთებს ლაპარაკი. ა. წუწუნავა ნიჭიერი რეჟისორია, მან ფეხზედ დააყენა მხატვრული მხარე სახალხო წარმოდგენებისა და ფრიად სამწუხარო იქმნება თუ ამ მიზეზთა გამო იგი თავს დაანებებს თავის საქმეს. წრის გამგეობა და წევრები მოვალენი არიან, თუ არჩევანში შევლენ, უპირატესობა ისევ ა. წუწუნავას მისცენ და თუ საჭიროა წრიდან ვისმეს განდევნა, ისევ ინტრიგანები იქმნენ განდევნილი და არა ფრიად საჭირო და სასარგებლო ადამიანი.

ისტორიული კრება

24 თებათვეს 1913 წელს ქართლ-კახეთის სათავად-აზნაურო კრებამ გადასწყვიტა: **მიილოს ხელშეკრულობა დადებული თ-დ დ. გურამიშვილის მიერ რუსეთ-აზიის ბანკთან და შეიძინოს 5000 აქცია კახეთის რკინის გზისა.** ეს გარდაწყვეტილება მიღებული იყო 44 ხმით წინააღმდეგ 15 ხმისა. კახეთის რკინის გზის ქართველობის ხელში შენარჩუნების მომხრენი იყვნენ და

ხელშეკრულობა მიიღეს

1. ვას. დავ. გაბაშვილი
2. თ-დ ივ. მაღალაშვილი
3. თ-დ მიხ. დავ. ჭავჭავაძე
4. თ-დ ილ. მიხ. თარხან-მოურავი
5. იაკობ პეტრ. ისარლოვი
6. ალ. ივ. ყანჩელი
7. თ-დ დიმ. ალ. ფავლენიშვილი
8. თ-დ დავ. ალ. გურამიშვილი

9. თ-დ იოს. გ. ანდრონიკაშვილი
10. ლევან ნიკ. დიასამიძე
11. თ-დ ალ. ლუარს. მალალაშვილი
12. თ-დ ლევან გიორ. ჯანდიერი
13. თ-დ დიმიტ. იოს. ჭავჭავაძე
14. გაბრ. ივ. თულაშვილი
15. თ-დ რევაზ მიხ. ყარალაშვილი
16. თ-დ ბეჟან ივ. ხერხეულიძე
17. თ-დ ნიკ. ვას. ვაჩნაძე
18. კონსტ. იოს. სვიმონაშვილი
19. თ-დ ნიკ. ალექს. ჯანდიერი
20. თ-დ ლევან ალექს. ვაჩნაძე
21. მიხეილ ვახტ. მაჩაბელი
22. იოსებ ხრისტ. მამაცაშვილი
23. ტარასი გიორ. რცხილაძე
24. თ-დ გიორგ. ევსტ. ბაგრატიონი
25. თ. ივანე გიორგ. ციციშვილი
26. თ. გ. ალ. ბაგრატიონ-მუხრანსკი
27. თ-დ იასე კონსტ. ვაჩნაძე
28. თ-დ კონსტ. ზაქ. მაყაშვილი
29. ნიკ. ყარამან. ზაალიშვილი
30. მიხ. ნიკ. გედევანიშვილი
31. თ-დ ივ. გიორგ. ბარათაშვილი
32. ვას. ილ. რცხილაძე
33. თ-დ მაქს. ზაქ. ჭავჭავაძე
34. პარმენ დიმ. გედევანიშვილი
35. თ-დ ესტ. ალ. მაჩაბელი
36. გრიგ. დიმ. გაბაშვილი
37. ნიკ. ივან. საგინაშვილი
38. თ-დ ვლად. დავ. ვაჩნაძე
39. ნიკ. ბეჟან ტატიშვილი
40. გრიგ. სიმ. რცხილაძე
41. ლევან გაბრ. წინამძღვარიშვილი
42. თ-დ კონსტ. ნიკ. აფხაზი
43. თ-დ დიმ. ერასტ. ჩოლაყაშვილი
44. თ-დ გრიგ. ალ. ყარანგოზიშვილი

ხელშეკრულება უარჰყვეს

1. გიორგ. ივ. მუსხელიშვილი
2. თ-დ ივანე დიმ. აფხაზი
3. მალხაზ არჩ. ანდრონიკაშვილი
4. კონსტ. ივან. თულაშვილი
5. თ-დ დავით სუმბათავილი
6. ნიკ. ივან. არჯევანიძე
7. თ-დ ნიკ. ლევან. არჯევანიძე
8. თ-დ ქაიხოსრო ჯავახიშვილი
9. თ-დ გიორგ. როსებ. ამირეჯიბი
10. დ. ფ. ნაცვალიშვილი
11. თ-დ ივ. მიხ. სუმბათაშვილი
12. თ-დ ლევ. დიმ. ანდრონიკაშვილი
13. ივ. გიორგ. რატიშვილი
14. თ-დ რევაზ იასონ. ერისთავი
15. გიორგ. ზაალ. ტერიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედათა სამეურნეო და საოჯახო სკოლა

მამაკაცი რაც უნდა კარგი მეურნე იყოს, რა გინდ კარგი გამრჯელი იყოს, მას, თუ მეოჯახე დედაკაციც მხარში არ უდგას, თუ იმანაც არ იცის მეურნეობა, არ იცის ოჯახობა, არ არის მომჭირნე და მუყაითი, მაშინ მარტო მამაკაცის შრომა ოჯახს ვერ გაამაგრებს, მამაკაცს მონაგარს არა მეურნე დედაკაცი ფუქსავატურ ზიზილ-პიპილებში გაფლანგავს. ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა, ქალებმაც ხელი მიჰყონ მეურნეობა - მეოჯახეობის შესწავლას. კავკასიაში პირველი დედათა სამეურნეო სკოლა დაარსდა კავკავის მახლობლად 1911 წელს. სკოლაში პრაქტიკულად და თეორიულად ასწავლიან: მებოსტნეობას, მეხილეობას, ხილისა და მწვანილის ტეხნიკურ გარდამუშავებას, მეფუტკრეობას, მეაბრეშუმეობას, ფრინველების მოვლა-მოშენებას, მეოჯახეობას (საჭმელების გაკეთებას, სურსათის შენახვას და სხვა). სკოლაში ორ წელიწადს სწავლობენ. სწავლა უფასოა, მხოლოდ ვინც სკოლის პანსიონში ცხოვრობს შესანახს ახდევინებენ 150 მან. ყაზახ რუსისა და აზნაურის ქალებს სტიპენდია ეძლევა.

ამ ზაფხულზე პირველად დაასრულეს კურსი მოსწავლე ქალებმა, რომლებიც პრაქტიკულ სავარჯიშოდ შემოდგომამდი ისევ დარჩნენ სკოლაში. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ სკოლაში სწავლობენ ქართველი ქალებიც.

ვურჩევთ ქუთაისის ქალთა წრეს, თუ ასეთ ყოვლად საჭირო, სულზე მისწრება სასწავლებლის დაარსებას ვერ მოახერხებს, ერთი ორი სტიპენდია მაინც დანიშნოს და ორი ქალი მაინც გაგზავნოს ამ სასწავლებელში; მგონი რომ ზოგისათვის ეს მეტი სასარგებლო იქნება, ვიდრე სატახტო ქალაქის უმაღლესი კურსები.

„სასოფლო გაზეთი“.

„სასოფლო გაზეთთან“ ერთად ჩვენი რედაქციაც უერთდება იმ აზრს, რომ დედათა სამეურნეო სასწავლებელი დიდად სასარგებლო და სადროისო დაწესებულება იქნებოდა ჩვენთვის, მაგრამ ხელმოკლეობისა გამო, კარგი იქნებოდა თბილისის ქალთა წრემაც მოახერხოს ორიოდე ქალის გაგზავნა კავკავის პრაქტიკულ სკოლაში. საქმე იმაშია რომ უმაღლეს კურსებზედ უკვე სწავლობ კარგა მოზრდილი რიცხვი ახალგაზრდობისა, რომელთაგან, უეჭველია, რამდენიმე კაცი ყოველთვის მოახერხებს მასწავლებლობას იმ სკოლაში, რომელიც აუცილებლივ უნდა მოეწყოს ჩვენში—სამეურნეო სკოლა (იქნებ ორივე სქესისათვის) და რაც შეეხება პრაქტიკული მუშაობის მცოდნეთ—ესეთები ძალიან ნაკლებად არიან და ეხლა სწორედ ასეთები უფრო გამოსადეგნი და საჭირონი იქნებოდნენ, რომ დროზედ დაეხმარნენ გაჭირვებულ მეურნეობას, დაეხმარნენ სამეურნეო საზოგადოებასაც, რომელსაც დღესვე უჭირს შოვნა პრაქტიკულად მომზადებულ მუშებისა, ცოდნისა და დახმარების მისაწვდომად სოფლიათვის იქნება შესაძლებელი იყვეს ქუთაისის და თბილისის ქალთა წრისათვის რაიმე საერთო ორგანიზაციის შექმნაც, რომ უფრო სრულად გამოარკვეს ჩვენი ქვეყნის ირეარამი, რადგან პირობები დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ბევრად განსხვავდებიან.

ქართველობა და პოლიტეხნიკუმი

სამშაბათს 25 თიბათვეს თავად-აზნაურთა კრებაზედ განხილულ იქმნა პოლიტეხნიკუმის საკითხი.

თავმჯდომარეობს **თავ. კ. ნ. აბხაზი**

ნ. ი. საგინაშვილი. (მომხსენებელი) წარსულ წელს თავად-აზნაურობამ გადასდო პოლიტეხნიკუმისთვის 10.000 მანეთი. მიმდინარე წლის თებერვალში აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი იყო საბურთალოში პოლიტეხნიკუმისთვის ასი დესეტინა მიწის შოვნა. საბურთალოს მემამულემ ქ-ნმა გაბაშვილისამ სურვილი გამოსთქვა მიეყიდნა თავად-აზნაურობისთვის 234 დესეტინა მიწა იმ პირობით, თუ ამ მიწებიდან თავად-აზნაურობა ას დესეტინას პოლიტეხნიკუმს შესწირავდა. თავად-აზნაურობა დაეთანხმა ასეთ კომბინაციას, მით უფრო რომ დესეტინა მიწისა იყიდებოდა 150 მანეთად. დეპუტატთა საკრებულომ გადასწყვიტა, ვიდრე კრებას მოიწვევდა, ესარგებლა ამ შემთხვევით და თავის პასუხის მგებლობის ქვეშ შეიძინა 234 დესეტინა 35.100 მანეთად. ამასთანავე, თანახმად პირობისა, თავად-აზნაურობა, ვალად იდვა 134 დესეტინა კერძო მემამულეთა ჯგუფისთვის დაეთმო. შემდეგ, ათმა საბურთალოელმა მემამულემ თავის ნებით განაცხადა სურვილი შეეწირათ პოლიტეხნიკუმისთვის კიდევ სამასი დესეტინა, იმ პირობით თუ პოლიტეხნიკუმი საბურთალოში აშენდებოდა. ამ რიგად თავად-აზნაურობამ მიართვა ძღვნად მომავალ პოლიტეხნიკუმს 400 დესეტინა. მაგრამ მთავარმა კომიტეტმა 27 აპრილის კრებაზედ 18 ხმით, წინაღმდეგ 14-ისა გადასწყვიტა პოლიტეხნიკუმი საბურთალოზედ არ აეგო. მაშინ თავად-აზნაურთა მარშლებმა იმავე კომიტეტს წარუდგინეს განსაკუთრებული მოსაზრება, რომელშიაც გამოსთქვეს სურვილი, ვიდრე საკითხი საბოლოოდ გადასწყდებოდა, შესწავლილი ყოფილიყო ყოველმხრივ საპოლიტეხნიკუმო ადგილი თავად-აზნაურთა და ქალაქის წარმომადგენელთა თანადასწრებით. მეფის მოადგილის განკარგულებით შესდგა ახალი კომისია, რომელიც უკვე შეუდგა საბურთალოსა და ნავთლუღის მიწათა შეფასებას.

თავ. **კ. აფხაზმა** დაუმატა, რომ კომისიამ სურვილი გამოსთქვა, რათა ამ მიწების განაღდება თავად-აზნაურობას ეკისრა, მაგრამ მე ვუპასუხე: ეს საქმე არ ძალმიძს. გუშინ კი კომისიის თავმჯდომარემ, ბ. გაკკელმა მთხოვა, რათა კრებამ განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ შეიძლება შემომწირველთ გამოსცვალონ თავისი პირობა რადგანაც პოლიტეხნიკუმს ოთხი განყოფილება ექნება, შეიძლება ორი საბურთალოზე აშენდეს და ორიც ნავთლუღში.

თავ. **დ. ჯორჯაძე.** ასე საკითხის დასმა შეუძლებელია. პოლიტეხნიკუმის ორ პირველ კურსზე ყველა განყოფილებაში ერთსა და იმავე საერთო საგნებს ასწავლიან საიდან სად უნდა ირბინონ სტუდენტებმა. საბურთალო ნავთლუღს 15 ვერსით არის დაშორებული.

თავ. **კ. აფხაზმა** დაამოწმა, რომ შემომწირველნი მტკიცედ ადგანან თავიანთ პირობებს.

თავ. **ამირ ჯიბს** უკვირს, როგორ ეგებება ქალაქი ასეთ საჩუქარს. თავად-აზნაურობის ღირსებას არ შეჰფერის, რომ საჩუქარს ძალით ვახვევდეთ ვისმე თავზე. ეს შეწირულება გულწრფელობით იყო გამოწვეული. გვსურდა ტეხნიკუმს დავხმარებოდით

და თუ არ მიიღებენ—ღმერთმა მშვიდობა მისცეთ.

მ. მაჩაბელი მე ძლიერ მაოცებს ერთი გარემოება. ქალაქის წარმომადგენლები საზოგადოებას ემუქრებიან: თუ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში არ იქნება აშენებული, ქალაქი პოლიტეხნიკუმის დახმარებაზე უარს იტყვისო. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ჩვენ, დანარჩენი შემწირველნი ქალაქის ნაწილს არ შევადგენთ? ნუ თუ ქართველი თავადაზნაურობა, რომელთა სისხლით არის დაცული ჭალარა თბილისი, ქალაქის მცხოვრებთა ნაწილი არ არის? ნუ თუ ვერაზე, ვაკეში და ნაძალადევში მცხოვრები ქართველები მოქალაქენი არ არიან? დიდუბისა, კუკიისა, ნაძალადევისა და საბურთალოს მცხოვრები სხვა ერები ქალაქს არ ეკუთვნიან? ვის წინააღმდეგ მიდიან ქალაქის წარმომადგენელნი, ვის ინტერესებს იცავენ ისინი? ამაზე ცოტათი მაინც უნდა იფიქრონ ქალაქის წარმომადგენლებმა, სანამ თეთრს ცხენებზე შვსხდებოდნენ და მეცნიერების გაბათილებას დაიწყებდნენ. მაგრამ თავი დავანებოთ ყველა ამ საკითხს მე მაინტერესებს ის გარემოება, თუ რა დაეკარგება ქალაქს, პოლიტეხნიკუმი რომ საბურთალოზე აშენდეს. თვით სამოსწავლო დაწესებულება მხოლოდ მოიგებს. და რა საღსარი გაუჩნდება ქალაქს გადასახადებისაგან და სხვა. ნუ თუ ამას თვალს აიდებს ქალაქი. მართლაც, რომ „საუცხოოდ" სცოდნიათ ქალაქის კასის ინტერესები ქალაქის წარმომადგენლებს! თავი დაანებონ გულუწრფელო ლაპარაკს და ერთხელ მაინც თავიანთ სიცოცხლეში პატიოსნად შეუდგნენ საკითხის განხილვას.

ქალაქის საბჭოს ხმოსანი **პ. გოთუა** ამბობს, რომ მხოლოდ ქალაქის მიწების განაღდებიდან არ შეიძლება ისეთი თანხის აღება, რომელიც საჭიროა პოლიტეხნიკუმისათვის. ამ დროს კი საბურთალოს მიწების განაღდების ფული. 2 მილიონ ნახევრამდე, სრულიად საკმარისია ამისთვის. რადგანაც ქალაქი უარს ამბობს ამ მიწების განაღდებას, დავაკისროთ ეს საქმე საბურთალოელების კომისიას.

კრებამ საკითხი პრინციპიალურად მიიღო, მხოლოდ გუბერნიის მარშალს მიანდო ამ წინადადებით კომისიაში შევიდეს. შემდეგ კრებამ ერთხმად მოიწონა დეპუტატთა საკრებულოს მოქმედება, მადლობა გადუხადა და დაავალა კვლავ განაგრძოს მუშაობა, საზოგადო კრების თანასწორი უფლებით.

საკოოპერაციო კურსები

15 ივლისიდამ 25-ამდის ქართ. სასოფ.-სამეურნეო საზოგადოება თბილისში ... მოკლე ვადიან საკოოპერაციო კურსებს ... კოოპერატორებისთვის.

დღეს, როდესაც საქართველოში დღითი-დღე იზრდება კოოპერატიული მოძრაობა და მრავლდება კოოპერატიული დაწესებულებანი ამ ნაირ პირველ ქართულ კურსებს დიდი მნიშვნელობა ეძლევა.

კურსებზედ მოწვეულნი არიან ორი გამოჩენილი რუსი კოოპერატორი – მოლვაწე ა. ევდოკიმოვი და ა. ორლოვი. პირველი წაიკითხავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზედ, მეორე კი საკრედიტო და მომხმარებელ კოოპერატივებზედ. მასთან ერთად ლექტორებად მოწვეულნი არიან ქართველი კოოპერატორებიც. მათი ლექციები წაკითხული იქნება ქართულად და შეეხებიან როგორც საზოგადოთ კოოპერაციის ისტორიას და განვითარებას სხვა ქვეყნებში, ისე ჩვენში. ამ რიგად შინაარსი კურსებისა მდიდარია და ყოველ ქართველ კოოპერატორისთვის ამ კურსებზედ დასწრება არა მარტო საინტერესოა, არამედ აუცილებელიც.

როგორც ქ. სას.-სამ. საზოგადოების „ცირკულიარმა" გვაუწყა 40 კურსისტის უფასო ბინა და იაფი საჭმელი უზრუნველ-ყოფილია. თუ დროზედ ამაზედ მეტი ჩაეწერებიან მათაც საზოგადოება მზრუნველობას გაუწევს და დახმარებას აღმოუჩენს. საჭიროა, რომ ყველა ქართულ საკრედიტო ამხანაგობათ და სხვა კოოპერატიულ დაწესებულებათ ერთ ერთი თავისი მომუშავე კურსებზედ გამოგზავნოს.

ხარჯები გიზსა და თბილისში ყოფნისა ამხანაგობათ უნდა აანაზღაურონ თავის მოგებიდან. ამ პატარა ხარჯებს კოოპერატიული დაწესებულებანი არ უნდა შეუშინდნენ, რადგანაც უკანასკნელი შემდეგ მცოდნე ხალხის და მათ მუშაობის სახით დაუბრუნდება.

კოოპერატორი.

ბალკანეთის ამბები

მოულოდნელად შეთსეზული, სხვა და სხვა ელემენტებისაგან შემდგარი კავშირი ბალკანეთის სახელმწიფოთა, ისეეე ადვილად და სწრაფად დაირღვა, რაგორც ადვილად და სწრაფად შეიკრა ოსმალეთთან საბრძოლ-

ბულგარელნი და სერბიელნი დაუნდობლად ხოცენ ერთმანეთს, მიჰყავთ ტყვეები ანთმეფენ ირანს — ომი უფრო გაშწვავებულია, ვიდრე ოსმალეთთან, რადგან შეშინებული ოსმალნი ჯარი ბეგრჯელ გარბიდა, ადგილს თითქმის უბრძოლველად სტოვებდ, მაშინ როდესაც ორ ბატარა სახელმწიფოს ჯარები წათამამებულნი არიან გუშინდელი უჩვეული გამარჯვებით.

ბულგარეთს წაესია სებურძეთიც და ბაწია ჩერნოგორიაც, რადგან ეველა დარწმუნებულია, რომ სწორედ მისმა მტერმა დაიწყო დარღვევა ამ ხელშეკრულობისა, რომელიც დასდვეს ომამდე. ამ შეცდომის თავიდან ასაცილებლად მშვიდობიანად საკითხის გარჩევა არავინ მოინდომა, რაკი ამოღებული მახვილის ამედით არიან.

მოკავშირეთ თითქო ისიც დაავიწყდათ, რა ალიაქოთი გამოიწვია დაწყებულმა ომმა მთელ ევროპაში და ნამეტნავად მახლობელ სახელმწიფოებში — რუმინიაში, ავსტროუნგრეთში, რუსეთში. დაავიწყდათ ავსტრიის გამუდმებული მუქარა და სამზადისი საქმეში ჩარევისათვის, დაავიწყდათ რუმინიის მოთხოვნა კომპენსაციისა ნეიტრალობისათვის, დაავიწყდათ გერმანიისა და იტალიის სამზადისი, და რუსეთისაკენ დახარჯული ენერგია, ომის გავრცელების წინააღმდეგ. სისხლ დაღვრილნი, დღეს მთვრალებივით ეხლებინ ერთმანეთს და მტერს ახარებენ. მოლოდინი საერთო ფედერაციისა ბალკანეთზედ, რომელიც ახალს ძალთა განწყობილებას შეუქმნიდა ევროპის სახელმწიფოებში — დღეს სრულიად ჩაფუშულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ძნელი მოსალოდნელი და ნაომარი და მტრებად ქცეული ერნი მეტიდროდ შეკავშირდნენ.

ევროპის სახელმწიფოთა, რომელიც ჯერ ერთი ომიც ვერ მოუნელებიათ და რომლის [illegible] ჯარი, ფლოტი და ნაომარი თანხები [illegible]

-ებთნენ, დღეს თავშიკიდევ ახალ-ახალი ბრალეტები და მოსაზრებანი დაებადებათ, ახალ მდგომარეობის მიხედვით და მათი მადაც იმატებს, რასაკვირველია; რასაც უფრო მეტი ზარალის მოტანა შეუძლიან მოკავშირეთათვის.

არავინ იცის რით დასრულდება ატეხილი დავა საზღვრებზედ, მაგრამ ეს ისეთი უბედური ნაბიჯია, რომელიც სამუდამო დაღს დაასვამს ბალკანეთის სახელმწიფოთა ცხოვრებას და იქნება გადგეძებული იმედი ალორძინებისა და გაძლიერებისა: კოტონის უკანასკნელ აბრიალებად იქცეს და სამუდამოდ ისევ ბირკანდელ უმნიშვნელო რიგს დაუბრუნდნენ. ეს უკანასკნელი მოსაზრება მით უფრო გასამართლებელია, რომ საომარ ძალის შექმნასთან ერთად ბალკანეთის სახელმწიფოთ ჯერ ვერ მოუსწრიათ მაღალი კულტურის განვითარება და იძულებულნი გახდებიან დაემორჩილონ და გაითქვიფნენ სხვის კულტურაში, როცა საიმედო ფიზიკური ორგანიზაციის შეუსუსტებათ გარეშე მტერთან და ახალ ერთმანეთთან ბრძოლაში. ბრძოლა მაშინ ამაგრებს ერს, როცა ძალნი მეომრ'ს იკვებებიან ერის შინაგან კულტურით, თორემ ცარიელა ნაომარი ძალა - უჩეში ძალაა და მის გამარჯვებასაც არ მოსდევს ბეგრი რამ სახეირო, არამცთუ მის ისეთს მარცხს, როგორიც მოსდის ბალკანეთის გუნძულზედ. ამის მაგალითის თვით ოსმალეთიც წარმოგვიდგენს, რომელსაც ნაომარი ძალა მრავალ-რიცხოვანი ჰყავდა და გაწვრთნილიც, მაგრამ სასტიკად დამარცხდა სახელმწიფოს უკულტურობისაგან; ამ საერთო დაქცევისაგან, რომელიც გაანტრეს ოსმალეთში დესპოტიურმა ხოხოქრებმა. მაღალი კულტურა ბეგრჯელ, და მარცხებული ფიზიკურ ძალისაგან, თვით ამ ძალასაც კი შეათვისებს და გარდაქმნის ხოლმე, არამცთუ ბრმად ემორჩილება მას. ასეთი კულტურა კი არც თვით გამარჯვებულ მოკავშირეთ ჩქარია და საადამდის დასდგმენ საკუთარ სამეფოების წინააღმდეგ ძნელი გამოსარკვევია.

მეომარი.

რედაქტორ-გამომცემელი

რ. გაბაშვილი.

მოითხოვეთ ყველგან

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.



სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი, გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866½ დესეტინა ვენახი, საიდანაც უზიდავენ საზოგადოებას **ნამდვილ კახურ ღვინოს!**

ძალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება—გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უძანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაყენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.

ელექტრო-მბეჭდავ სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა № 5.